საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

ჟურნალისტიკა

2020

სარჩევი

ზოგადი ინფორმაცია 4

პროგრამის აღწერა 5

პროგრამის მიზანი 6

სწავლის შედეგები 7

კომპეტენციების რუკა 8

კურსის მიზნების სწავლის შედეგებთან შესაბამისობა 8

სასწავლო კურსების სწავლის შედეგებთან შესაბამისობა 9

პროგრამის სტრუქტურა 11

სწავლების ორგანიზება 12

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები 13

სწავლა-სწავლების მეთოდები 15

შეფასების სისტემა 20

შეფასების კომპონენტები 21

სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა 22

პროგრამის დასაქმების სფერო 23

პროგრამის პარტნიორები 24

პარტნიორი ეკონომიკური აგენტები 24

საერთაშორისო პარტნიორები 24

პროგრამის ინტერნაციონალიზაცია 25

საერთაშორისო გაცვლითი პროგრამები 26

პროგრამის რესურსები 27

მატერიალური რესურსი 27

პროგამის აკადემიური კორპუსი 35

პრაქტიკული რესურსი 28

პროგრამის სასწავლო გეგმა 29

ზოგადი ინფორმაცია

უმაღლესი განათლების საფეხური: ბაკალავრიატი

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: **ჟურნალისტიკის ბაკალავრი**

სწავლების ენა: ქართული

სწავლის ხანგრძლივობა: 4 აკადემიური წელი (8 სემესტრი)

პროგრამის მოცულობა: 240 კრედიტი /6000 ასტრონომიული საათი

პროგრამის ხელმძღვანელი: **პროფესორი თინათინ ზაქარაშვილი**

პროგრამის აღწერა

არსებულ ინფორმაციულ გარემოში თავისუფლად ორიენტირებისა და თანამედროვე მედიასფეროში ადგილის მოსაპოვებლად და დასამკვიდრებლად, ბაკალავრებს მოეთხოვებათ პროფესიონალი ჟურნალისტისთვის შესაბამისი აკადემიური ცოდნა, პროფესიული უნარების, თანამედროვე მულტიმედიური ტექნოლოგიების ფლობა და პრაქტიკაში დაოსტატება, რაც პროგრამის აქტუალობას განაპირობებს.

პროგრამით განისაზღვრება ჟურნალისტის პროფესიის თავისებურებების, მედია ინფორმაციის სიზუსტის დაცვის, დაბალანსების, გადამოწმების საშუალებებისა და მეთოდების, თანამედროვეობის აქტუალური პრობლემების ჟურნალისტურ ფაქტად გადაქცევის, მედია ტექსტის შექმნის და ინფორმაციის სხვადასხვა პლატფორმით გაშუქების წესების შესწავლა.

ჟურნალისტიკის საბაკალავრო პროგრამის განსახორციელებლად ჟურნალისტიკის, როგორც გამოყენებითი დარგისა და სპეციალობის, სტუდენტებს მოეთხოვებათ, როგორც აკადემიური – სალექციო, ასევე პრაქტიკული კურსის ათვისება და დამოუკიდებელი სამუშაოების წარმოება – სხვადასხვა სახის მედია პროდუქტის შექმნა.

პროგრამის მიზანი

ჟურნალისტიკის საბაკალავრო პროგრამის მიზანია მოამზადოს თანამედროვე მედია სტანდარტების შესაბამისი, თეორიული ცოდნისა და პროფესიული უნარების მქონე პრაქტიკოსი ჟურნალისტი, რომელსაც განუვითარდება ჟურნალისტური ხედვა და პროფესიული აზროვნება.

პროგრამის მიზანია:

- **სტუდენტს გააცნობიერებინოს** მედიის როლი თანამედროვე საზოგადოებაში, ჟურნალისტური ეთიკისა და პასუხისმგებლობის საკითხები, შესძინოს ცოდნა პროფესიული სტანდარტების, ჟურნალისტიკის ფუნქციებისა და პრინციპების შესახებ.
- აკადემიური–სალექციო და პრაქტიკული კურსის სინთეზით, **სტუდენტი დააუფლოს** მედია სივრცეში კომუნიკაციის, ინდივიდუალური და გუნდური მუშაობის პრინციპებს; დააოსტატოს პროფესიულ უნარებში იმგვარად, რომ შეუქმნას მას პროფესიულ სფეროში დასაქმებისა და განვითარების მყარი საფუძველი და სწავლების შემდეგ საფეხურზე გაგრძელების სურვილი.
- თანამედროვე მედიაბაზრისთვის კონკურენტუნარიანი, კვალიფიციური **პრაქტიკოსი ჟურნალისტების მომზადება,** რომელთაც ექნებათ სამოქალაქო ღირებულებათა ცოდნა და თანამედროვე მედიაინდუსტრიაში საქმიანობისთვის შესაბამისი პრაქტიკული უნარები, მუშაობისას დაეყრდნობიან პროფესიულ სტანდარტებს.

სწავლის შედეგები

1. განსაზღვრავს ჟურნალისტის პროფესიული საქმიანობის სპეციფიკას, აყალიბებს ჟურნალისტიკის ძირითად ცნებებს და ტერმინოლოგიას, ჟურნალისტიკის პრინციპებს, ფუნქციებს, აცნობიერებს სამოქალაქო ღირებულებებს და ეყრდნობა პროფესიულ სტანდარტებს.
2. აცნობიერებს სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების პრინციპებს, პროფესიულ საქმიანობას აფასებს და ახორციელებს ეთიკური და პროფესიული სტანდარტების შესაბამისად.
3. აცნობიერებს ქართული პუბლიცისტური აზროვნების განვითარების გზას, იყენებს თანამედროვე და ისტორიული მედიის, მედიაპროცესების კვლევის მეთოდებს ეფექტური ანალიზისთვის.
4. მოიპოვებს, ახარისხებს და ობიექტურად განაზოგადებს ინფორმაციას, აცნობიერებს სიზუსტის დაცვისა და ინფორმაციის გადამოწმების მნიშვნელობას; ფოკუსირებს ინფორმაციული საბაბის მქონე ფაქტებზე, აქტუალური პრობლემების ჟურნალისტურ ფაქტად წარმოჩენაზე.
5. აშუქებს ინფორმაციას სხვადასხვა პლატფორმით – ქმნის მულტიმედია პროდუქტს.
6. ფლობს პრაქტიკოსი ჟურნალისტისთვის აუცილებელი პროფესიული წერისა და ზეპირი მეტყველების კულტურას; განსაზღვრავს ინფორმაციის აქტუალობას, მიჯნავს ფაქტსა და კომენტარს.
7. ქმნის მედია–ტექსტს პროფესიული ამოცანების შესაბამისად – ფაქტის, არგუმენტის, პრობლემის შეკავშირება; აყალიბებს პროცესების შესატყვის ანალიზსა და არგუმენტირებულ დასკვნას, ადგენს აქტუალური საკითხების გადაჭრის პრაქტიკულ გზებს.
8. ფლობს რესპონდენტთან ეთიკური ურთიერთობის, წყაროსთან მუშაობის უნარ-ჩვევებს. ტელე–რადიო ჟურნალისტისთვის საჭირო პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს: შეუძლია სტილისტურად გამართულად საუბარი (წერა), მუშაობს ტელეკამერებთან, ახდენს ეთერში მაყურებელთან კომუნიკაციას და ქმნის ტელე–რადიოპროდუქტს სამონტაჟო პროგრამებით.
9. ფლობს დებატების, დასაბუთებული დასკვნების გამოტანის, თავისუფალი კომუნიკაციის, მასალის წარდგენის, ნებისმიერ სიტუაციაში ადაპტაციის, იმპროვიზაციის, ლოგიკური და ანალიტიკური აზროვნების უნარებს.
10. აცნობიერებს ფოტოჟურნალისტიკის სახელოვნებო ასპექტებს და მედიატექსტის ვიზუალიზების პერსპექტივებს. ფოტოს მეშვეობით ქმნის ჟურნალისტურ პროდუქტს, აქვს თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით სხვადასხვა შინაარსის ჟურნალისტური მასალის ვიზუალიზაციის უნარი.

კომპეტენციების რუკა

კურსის მიზნების სწავლის შედეგებთან შესაბამისობა

პროგრამის მიზნები / სწავლის შედეგები		სწავლის შედეგების ნუმერაციის მიხედვით									
		შედეგი 1	შედეგი 2	შედეგი 3	შედეგი 4	შედეგი 5	შედეგი 6	შედეგი 7	შედეგი 8	შედეგი 9	შედეგი 10
II	პროგრამის მიზანია სტუდენტს გააცნობიერებინოს მედიის როლი თანამედროვე საზოგადოებაში, ჟურნალისტური ეთიკისა და პასუხისმგებლობის საკითხები, შესძინოს ცოდნა პროფესიული სტანდარტების, ჟურნალისტიკის ფუნქციებისა და პრინციპების შესახებ.	✓	✓	✓					✓		
III	პროგრამის მიზანია, აკადემიური – სალექციო და პრაქტიკული კურსის სინთეზით, სტუდენტი დააუფლოს მედია სივრცეში კომუნიკაციის, ინდივიდუალური და გუნდური მუშაობის პრინციპებს; დააოსტატოს პროფესიულ უნარებში იმგვარად, რომ შეუქმნას მას პროფესიულ სფეროში დასაქმებისა და განვითარების მყარი საფუძველი და სწავლების შემდეგ საფეხურზე გაგრძელების სურვილი,				✓	✓	✓	✓	✓	✓	
IV	პროგრამის მიზანია თანამედროვე მედიაბაზარისთვის კონკურენტუნარიანი, კვალიფიციური პრაქტიკოსი ჟურნალისტების მომზადება, რომელთაც ექნებათ სამოქალაქო ღირებულებათა ცოდნა და თანამედროვე მედიაინდუსტრიაში საქმიანობისთვის შესაბამისი პრაქტიკული უნარები, მუშაობისას დაეყრდნობიან პროფესიულ სტანდარტებს.		✓		✓	✓	✓	✓			✓

სასწავლო კურსების სწავლის შედეგებთან შესაბამისობა

სწავლის შედეგები / ძირითადი სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები		სწავლის შედეგების ნუმერაციის მიხედვით									
		შედეგი 1	შედეგი 2	შედეგი 3	შედეგი 4	შედეგი 5	შედეგი 6	შედეგი 7	შედეგი 8	შედეგი 9	შედეგი 10
I	ჟურნალისტიკის საფუძვლები	√									
II	ქართული ჟურნალისტიკის ისტორია			✓							
III	ქართული ენა ჟურნალისტებისთვის						✓				
IV	ახალი ამბების ჟურნალისტიკა						✓				
V	მედიის აქტუალური თემები				✓						
VI	ფოტოჟურნალისტიკა										✓
VII	ბეჭდური მედია I -გაზეთი (პრაქტიკული კურსი)						✓				
VIII	მულტიმედია ტექნოლოგიები, მათი გამოყენება					✓					
IX	ანალიტიკური ჟურნალისტიკა							✓			
X	ბეჭდური მედია II -ჟურნალი (პრაქტიკული კურსი)							✓			
XI	სამაუწყებლო მედია I - რადიო								✓		
XII	სამაუწყებლო მედია II - ტელევიზია (თეორია)								✓		
XIII	ვიზუალური თხრობა- (ტელეჟურნალისტიკის პრაქტიკული კურსი)						✓				
XIV	ახალი მედია					✓					
XV	საზოგადოებასთან ურთიერთობის (PR) საფუძვლები								✓		

XVI	ვერბალური კომუნიკაციები (საჯარო გამოსვლა, დისკუსია, დებატები, პოლემიკა)									✓	
XVII	მედიის კვლევის მეთოდები			✓							
XVIII	მედია სამართალი და თვითრეგულირება		✓								
XIX	პრაქტიკა ჟურნალისტიკაში								✓		
XX	საბაკალავრო ნაშრომი ჟურნალისტიკაში			✓							

პროგრამის სტრუქტურა

პროგრამა აგებულია ECTS პრინციპის საფუძველზე და სტუდენტზე ორიენტირებული აკადემიური პროფილის ფორმირების, სასწავლო, პრაქტიკული და მცირე სასწავლო-კვლევითი კომპონენტების ერთობლიობას ითვალისწინებს სპეციალობისა და თავისუფალი კრედიტების როგორც სავალდებულო, ასევე არჩევითი ბლოკების კომბინაციით.

ბლოკი	ბლოკის აღწერა	ECTS კრედიტი
სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსები	ბლოკი ემსახურება ჟურნალისტიკის სფეროს სპეციალისტისთვის აუცილებელი დარგობრივი კომპეტენციების ფორმირებასა და განვითარებას, პრაქტიკული და საბაზისო კვლევითი უნარების განვითარებას.	116
სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსები	ბლოკი ემსახურება ჟურნალისტიკის სფეროს ცალკეულ ქვედისციპლინებში ცოდნის გაღრმავებას, ჟურნალისტიკის სფეროში სპეციფიკური და დარგობრივი საკითხების შესახებ ცოდნისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარებას.	40
თავისუფალი სავალდებულო სასწავლო კურსები	ბლოკი ემსახურება სტუდენტის ზოგადი კომპეტენციის ფორმირებას, აკადემიური კომუნიკაციის საფუძვლებისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენების უნარების გამომუშავებას.	12
თავისუფალი სავალდებულო/არჩევითი სასწავლო კურსები	სტუდენტი ვალდებულია გაიაროს უცხო ენის (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული, ესპანური) ბლოკი 30 კრედიტის ოდენობით, არანაკლებ დარგობრივი უცხო ენის ჩათვლით, ენობრივი დონის სასწავლო კურსების წინაპირობების გათვალისწინებით. დაბალი ენობრივი კომპეტენციის დონის მქონე ან დარგობრივი ენის გაღრმავებით დაინტერესებული სტუდენტებისათვის დასაშვებია დამატებითი კრედიტების ათვისება ენის კომპონენტში თავისუფალი არჩევითი კრედიტების ხარჯზე უნივერსიტეტის ენობრივი კომპეტენციის დადგენის წესის შესაბამისად	30
თავისუფალი არჩევითი სასწავლო კურსები	სტუდენტს შეუძლია არჩიოს მისთვის სასურველი სასწავლო კურსები საინტერესო სფეროებში თვალსაწიერის გაფართოების მიზნით, უნივერსიტეტში მოქმედი საბაკალავრო პროგრამებიდან, სასწავლო კურსის შესწავლისათვის გათვალისწინებული შესაბამისი წინაპირობების დაცვით.	42

სწავლების ორგანიზება

ჟურნალისტიკის საბაკალავრო პროგრამის ხანგრძლივობაა 4 აკადემიური წელი (8 სემესტი) და ითვალისწინებს 240 ECTS კრედიტის დაგროვებას, რაც 6000 ასტრონომიულ საათს უტოლდება. ერთი კრედიტი (ECTS) უტოლდება სტუდენტის სასწავლო საქმიანობას (სტუდენტის დატვირთვას) 25 საათის განმავლობაში და მოიცავს როგორც საკონტაქტო, ასევე დამოუკიდებელ საათებს.

კრედიტის გაანგარიშებისას არ არის გათვალისწინებული დამატებითი გამოცდისთვის (მომზადება, ჩაბარება, შეფასება) განსაზღვრული დრო, აგრეთვე საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის განმახორციელებელ პირთან საკონსულტაციო დრო.

აკადემიური (გაზაფხულის და შემოდგომის) სემესტრის განმავლობაში სტუდენტმა უნდა დაძლიოს საშუალოდ 30 კრედიტი (30 კრედიტი = 750 სთ.), ხოლო წელიწადში - 60 კრედიტი (1500 საათი),

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის ან/და სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო პროგრამის თავისებურებების გათვალისწინებით, დასაშვებია სტუდენტის სასწავლო წლიური დატვირთვა აღემატებოდეს 60 კრედიტს ან იყოს 60 კრედიტზე ნაკლები. დაუშვებელია სტუდენტის სასწავლო წლიური დატვირთვა აღემატებოდეს 75 (ECTS) კრედიტს.

სასწავლო კვირების რაოდენობა წელიწადში შეადგენს 38 კვირას, ერთი სემესტრის განმავლობაში - 19 კვირას, რომელშიც მოიაზრება 15 სასწავლო კვირა და 4 კვირა საგამოცდო პერიოდი. სასწავლო კვირა არის დროის პერიოდი, რომელზეც ნაწილდება საშუალო აკადემიური მიღწევის მქონე სტუდენტის სასწავლო დატვირთვა და მოიცავს როგორც საკონტაქტო, ასევე დამოუკიდებლ დროში შესასრულებელი აქტივობების ერთობლიობას. სემესტრი არის დროის პერიოდი, რომელიც მოიცავს სასწავლო კვირათა ერთობლიობას, დამატებითი გამოცდის/გამოცდების ჩატარებისა და დამატებით გამოცდაზე/გამოცდებზე სტუდენტის მიღწევის შეფასების პერიოდს.

პროგრამა დასრულებულად ითვლება, როცა სტუდენტი დააგროვებს არანაკლებ 240 ECTS კრედიტს, რაც გულისხმობს პროგრამით გათვალისწინებული სფეროს ძირითადი, არჩევითი და თავისუფალი კომპონენტის შესრულებას.

.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

ჟურნალისტიკის საბაკალავრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას, გაწერილია სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში, განთავსებულია ვებგვერდზე და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული მხარისათვის.

ჩარიცხვის პირობები

ჟურნალისტიკის საბაკალავრო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების მქონე პირს, რომელსაც გააჩნია სახელმწიფოს მიერ დადასტურებული შესაბამისი დოკუმენტი (ატესტატი) ან მასთან გათანაბრებული და ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე სწავლის უფლებას მოიპოვებს აღნიშნულ პროგრამაზე და და გაივლის ადმინისტრაციულ რეგისტრაციას სეუ-ში.

ჩარიცხვა ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე

ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე სწავლა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, დასაშვებია:

ა) უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის და მოქალაქეობის არმქონე პირებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება;

ბ) საქართველოს მოქალაქეებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება და სრული ზოგადი განათლების ბოლო 2 წელი ისწავლეს უცხო ქვეყანაში;

გ) უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის (გარდა ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა და გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა), რომლებიც სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში;

დ) საქართველოს მოქალაქეებისათვის (გარდა ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა და გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა), რომლებიც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ განსაზღვრული ვადით ცხოვრობენ/ცხოვრობდნენ, სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ

კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

ე)უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია ამ მუხლით გათვალისწინებული პირების პროგრამის ენის ცოდნის დადგენის მიზნით ჩაატაროს გასაუბრება და უზრუნველყოს აღნიშნული გასაუბრების ვიდეოჩანაწერის სამინისტროსათვის ხელმისაწვდომობა.

მობილობის წესით სტუდენტთა ჩარიცხვა

ჟურნალისტიკის საბაკალავრო პროგრამაზე სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან / პროგრამიდან მობილობის წესით გადმოსულ სტუდენტთა მიღება ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის N 10/ნ ბრძანებით დადგენილი წესის შესაბამისად.

ჟურნალისტიკის საბაკალავრო პროგრამაზე მობილობის უფლება აქვს პირს, რომლის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვა განხორციელდა კანონმდებლობით დადგენილი წესით და განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ელექტრონულ პორტალზე მობილობის მსურველად რეგისტრაციის მომენტისათვის არის დაწესებულების სტუდენტი.

მობილობის უფლება აქვს ასევე პირს, რომელსაც ელექტრონულ პორტალზე რეგისტრაციის მომენტისათვის შეჩერებული აქვს სტუდენტის სტატუსი ან სტატუსშეწყვეტილ პირს, სტატუსის შეწყვეტიდან 12 თვის განმავლობაში.

სწავლა-სწავლების მეთოდები

პროგრამის სხვადასხვა კომპონენტში გამოყენებული სწავლება-სწავლის მეთოდების ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. სწავლების პროცესში რომელიმე კონკრეტული საკითხის შესწავლა შეუძლებელია მხოლოდ ერთი მეთოდით. ლექტორს სწავლების პროცესში უხდება სხვადასხვა მეთოდის გამოყენება, ასევე, ხშირ შემთხვევაში ადგილი აქვს მეთოდთა შერწყმას. სწავლების პროცესში მეთოდები ერთმანეთს ავსებს. მათგან საჭირო მეთოდს, კონკრეტული მიზნიდან და ამოცანიდან გამომდინარე, ირჩევს ლექტორი.

ლექცია - შემოქმედებითი პროცესია, რომელშიც ერთდროულად მონაწილეობს ლექტორი და სტუდენტი. ლექციის ძირითადი მიზანია შესასწავლი საგნის დებულებათა იდეის გაგება, რაც გულისხმობს გადმოცემული მასალის შემოქმედებით და აქტიურ აღქმას. ამასთან, ყურადღება უნდა მიექცეს გადასაცემი მასალის ძირითად დებულებებს, განმარტებებს, აღნიშვნებს, დაშვებებს. საჭიროა მთავარი საკითხების, ფაქტებისა და იდეების კრიტიკული ანალიზი. ლექცია უნდა უზრუნველყოფდეს შესასწავლი საგნის ძირითადი დებულებების მეცნიერულ და ლოგიკურად თანმიმდევრულ შეცნობას ზედმეტი დეტალებით გადატვირთვის გარეშე. ამიტომ, ის უნდა იყოს ლოგიკურად დასრულებული.

ჯგუფური (collaborative) მუშაობის მეთოდით სწავლება გულისხმობს სტუდენტთა ჯგუფებად დაყოფას და მათთვის სასწავლო დავალების მიცემას. ჯგუფის წევრები ინდივიდუალურად ამუშავებენ საკითხს და პარალელურად უზიარებენ მას ჯგუფის დანარჩენ წევრებს. დასახული ამოცანიდან გამომდინარე, შესაძლებელია ჯგუფის მუშაობის პროცესში წევრებს შორის მოხდეს ფუნქციების გადანაწილება. ეს სტრატეგია უზრუნველყოფს ყველა სტუდენტის მაქსიმალურ ჩართულობას სასწავლო პროცესში.

დამოუკიდებელი მუშაობა ლექციაზე მოსმენილი მასალა მთლიანი ცოდნის სისტემად ყალიბდება სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობით. სტუდენტს უნდა აღეძრას წიგნისადმი და სხვა საინფორმაციო წყაროებისადმი ინტერესი და საკითხების დამოუკიდებლად შესწავლის სურვილი, რაც დამოუკიდებელი აზროვნების, ანალიზისა და დასკვნების გაკეთების სტიმულირების საშუალებაა.

ვერბალური, ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდს მიეკუთვნება ლექცია, თხრობა, საუბარი და სხვ. აღნიშნულ პროცესში ლექტორი სიტყვების საშუალებით გადასცემს, ხსნის სასწავლო მასალას, ხოლო სტუდენტები მოსმენით, დამახსოვრებითა და გააზრებით მას აქტიურად აღიქვამენ და ითვისებენ.

წიგნზე მუშაობის მეთოდი დამოუკიდებლად მიცემული საკითხავი მასალის გაცნობა, დამუშავება და ანალიზი.

წერითი მუშაობის მეთოდი გულისხმობს შემდეგი სახის აქტივობებს: ამონაწერებისა და ჩანაწერების გაკეთება, მასალის დაკონსპექტება, თეზისების შედგენა, რეფერატის, ან ესეს შესრულება, და ა.შ.

პრაქტიკული მეთოდები აერთიანებს სწავლების ყველა იმ ფორმას, რომელიც სტუდენტს პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს უყალიბებს, აქ სტუდენტი შეძენილი ცოდნის საფუძველზე დამოუკიდებლად ასრულებს ამა თუ იმ აქტივობას, მაგალითად: პროფესიული პრაქტიკა, საველე მუშაობა და სხვ.

დისკუსია/დებატები ინტერაქტიური სწავლების ერთ–ერთი ყველაზე გავრცელებული მეთოდია. დისკუსიის პროცესი მკვეთრად ამაღლებს სტუდენტთა ჩართულობის ხარისხსა და აქტივობას. დისკუსია შესაძლებელია გადაიზარდოს კამათში. ეს პროცესი არ შემოიფარგლება მხოლოდ პროფესორის მიერ დასმული შეკითხვებით. ეს მეთოდი უვითარებს სტუდენტს კამათისა და საკუთარი აზრის დასაბუთების უნარს.

პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL) - სასწავლო მეთოდი, რომელიც ახალი ცოდნის მიღების და ინტეგრაციის პროცესის საწყის ეტაპად იყენებს პრობლემას.

თანამშრომლობითი (cooperative) სწავლება - იმგვარი სწავლების სტრატეგიაა, სადაც ჯგუფის თითოეული წევრი ვალდებულია არა მხოლოდ შეისწავლოს, არამედ დაეხმაროს თავის თანაგუნდელს სასწავლო კურსის უკეთ შესწავლაში. თითოეული ჯგუფის წევრი მუშაობს პრობლემაზე, ვიდრე ყველა მათგანი არ დაეუფლება საკითხს.

შემთხვევის ანალიზი (Case study) - შემთხვევების შესწავლა, აქტიური პრობლემურ-სიტუაციური ანალიზის მეთოდი, რომლის საფუძველია სწავლება კონკრეტული ამოცანების - სიტუაციების გადაჭრის გზით (ე. წ. ქეისების ამოხსნა). სწავლების ეს მეთოდი დაფუძნებულია კონკრეტული პრაქტიკული მაგალითების (ქეისების) განხილვაზე. ქეისი წარმოადგენს ერთგვარ ინსტრუმენტს, რომელიც მიღებული თეორიული ცოდნის გამოყენების საშუალებას იძლევა პრაქტიკული ამოცანების გადაწყვეტისათვის. თეორიისა და პრაქტიკის შეხამებით, მეთოდი ეფექტიანად ავითარებს დასაბუთებული გადაწყვეტილებების შეზღუდულ დროში მიღების უნარს. სტუდენტებს უვითარდებათ ანალიტიკური აზროვნება, გუნდური მუშაობის, ალტერნატიული აზრის მოსმენისა და გაგების, ალტერნატივების გათვალისწინებით განზოგადოებული გადაწყვეტილებების გამომუშავების, მოქმედებების დაგეგმვისა და მათი შედეგების პროგნოზირების უნარი.

გონებრივი იერიში (Brain storming) მეთოდი გულისხმობს კონკრეტული თემის ფარგლებში კონკრეტული საკითხის/პრობლემის შესახებ მაქსიმალურად მეტი, სასურველია რადიკალურად განსხვავდებული, აზრის, იდეის ჩამოყალიბებასა და გამოთქმის ხელშეწყობას. აღნიშნული მეთოდი ხელს უწყობს პრობლემისადმი შემოქმედებითი მიდგომის განვითარებას. ეს მეთოდი ეფექტურია სტუდენტთა მრავალრიცხოვანი ჯგუფის არსებობის პირობებში და შედგება რამდენიმე ძირითადი ეტაპისგან:

- პრობლემის/საკითხის შემოქმედებითი კუთხით განსაზღვრა.
- დროის გარკვეულ მონაკვეთში აუდიტორიისგან საკითხის ირგვლივ არსებული იდეების კრიტიკის გარეშე ჩანიშვნა.

- გამორიცხვის გზით იმ იდეების გამორჩევა, რომლებიც ყველაზე მეტ შესაბამისობას ავლენს დასმულ საკითხთან.
- კვლევის მიზანთან იდეის შესაბამისობის დასადგენად შეფასების კრიტერიუმების განსაზღვრა.
- შერჩეული იდეების შეფასება წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმებით.
- უმაღლესი შეფასების მქონე იდეის, როგორც დასახული პრობლემის გადაჭრის საუკეთესო საშუალების გამოვლენა.

როლური და სიტუაციური თამაშები სცენარის მიხედვით განხორციელებული როლური თამაშები სტუდენტებს საშუალებას აძლევს სხვადასხვა პოზიციიდან შეხედოს საკითხს და ეხმარება მათ ალტერნატიული თვალსაზრისის ჩამოყალიბებაში. ისევე როგორც დისკუსია, როლური თამაშებიც უყალიბებს სტუდენტს საკუთარი პოზიციის დამოუკიდებლად გამოთქმისა და კამათში მისი დაცვის უნარს.

დემონსტრირების მეთოდი ინფორმაციის ვიზუალურად წარმოდგენას გულისხმობს. შედეგის მიიღწევის თვალსაზრისით ის საკმაოდ ეფექტურია. ხშირ შემთხვევაში უმჯობესია, მასალა ერთდროულად აუდიო და ვიზუალური გზით მივაწოდოთ სტუდენტებს. შესასწავლი მასალის დემონსტრირება შესაძლებელია განხორციელდეს როგორც მასწავლებლის, ისე სტუდენტის მიერ. ეს მეთოდი გვეხმარება თვალსაჩინო გავხადოთ სასწავლო მასალის აღქმის სხვადასხვა საფეხური, დავაკონკრეტოთ, თუ რისი შესრულება მოუწევთ სტუდენტებს დამოუკიდებლად; ამავე დროს, ეს სტრატეგია ვიზუალურად წარმოაჩენს საკითხის/პრობლემის არსს. დემონსტრირება შესაძლოა მარტივ სახეს ატარებდეს, როგორიცაა, მაგალითად, მათემატიკური ამოცანის ამოხსნა, მისი საფეხურების დაფაზე თვალსაჩინოდ წარმოდგენის სახით, ან ისეთი რთული სახე მიიღოს, როგორიცაა მრავალსაფეხურიანი საბუნებისმეტყველო ექსპერიმენტის ჩატარება.

ინდუქციური მეთოდი განსაზღვრავს ნებისმიერი ცოდნის გადაცემის ისეთ ფორმას, როდესაც სწავლის პროცესში აზრის მსვლელობა ფაქტებიდან განზოგადებისაკენ არის მიმართული ანუ მასალის გადმოცემისას პროცესი მიმდინარეობს კონკრეტულიდან ზოგადისკენ.

დედუქციური მეთოდი განსაზღვრავს ნებისმიერი ცოდნის გადაცემის ისეთ ფორმას, რომელიც ზოგად ცოდნაზე დაყრდნობით ახალი ცოდნის აღმოჩენის ლოგიკურ პროცესს წარმოადგენს ანუ პროცესი მიმდინარეობს ზოგადიდან კონკრეტულისაკენ.

ანალიზის მეთოდი გვეხმარება სასწავლო მასალის, როგორც ერთი მთლიანის, შემადგენელ ნაწილებად დაშლაში. ამით მარტივდება რთული პრობლების შიგნით არსებული ცალკეული საკითხების დეტალური გაშუქება.

სინთეზის მეთოდი გულისხმობს ცალკეული საკითხების დაჯგუფებით ერთი მთლიანის შედგენას. ეს მეთოდი ხელს უწყობს პრობლემის, როგორც მთლიანის დანახვის უნარის განვითარებას.

ახსნა–განმარტებითი მეთოდი ეფუძნება მსჯელობას მოცემული საკითხის ირგვლივ. ლექტორს მასალის გადმოცემისას მოჰყავს კონკრეტული მაგალითი, რომლის დაწვრილებით განხილვაც ხდება მოცემული თემის ფარგლებში.

ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება მოითხოვს პროფესორისა და სტუდენტის აქტიურ ჩართულობას სწავლების პროცესში, სადაც განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს თეორიული მასალის პრაქტიკული ინტერპრეტაცია.

ევრისტიკული მეთოდი ეფუძნება სტუდენტების წინაშე დასმული ამოცანის ეტაპობრივ გადაწყვეტას. ეს პროცესი სწავლებისას ფაქტების დამოუკიდებლად დაფიქსირებისა და მათ შორის კავშირების დანახვის გზით ხორციელდება.

ლაბორატორიული მეცადინეობა უფრო თვალსაჩინოა და ამა თუ იმ მოვლენის ან პროცესის აღქმის საშუალებას იძლევა. ლაბორატორიაში სტუდენტი სწავლობს ექსპერიმენტის ჩატარებას. ლაბორატორიული მეცადინეობის დროს სტუდენტი უნდა ეუფლებოდეს მოწყობილობათა გამართვას, რეგულირებასა და მუშაობის რეჟიმის დადგენას. სასწავლო ლაბორატორიებში გამომუშავებული ჩვევები ლექციებზე მოსმენილი თეორიული მასალის გააზრების საშუალებას იძლევა.

პროექტის შემუშავება და პრეზენტაცია არის სასწავლო-შემეცნებითი ხერხების ერთობლიობა, რომელიც პრობლემის გადაწყვეტის საშუალებას იძლევა სტუდენტის დამოუკიდებელი მოქმედებებისა და მიღებული შედეგების აუცილებელი პრეზენტაციის პირობებში. ამ მეთოდით სწავლება ამაღლებს სტუდენტთა მოტივაციასა და პასუხისმგებლობას. პროექტზე მუშაობა მოიცავს დაგეგმვის, კვლევის, პრაქტიკული აქტივობისა და შედეგების წარმოდგენის ეტაპებს არჩეული საკითხის შესაბამისად. პროექტი განხორციელებლად ჩაითვლება, თუ მისი შედეგები თვალსაჩინოდ, დამაჯერებლად და კონკრეტული ფორმით არის წარმოდგენილი. იგი შეიძლება შესრულდეს ინდივიდუალურად, წყვილებში ან ჯგუფურად; ასევე, ერთი საგნის ან რამდენიმე საგნის (საგანთა ინტეგრაციის) ფარგლებში. დასრულების შემდეგ პროექტი წარედგინება ფართო აუდიტორიას.

ელექტრონული სწავლება (E-learning) – ეს მეთოდი მოიცავს სწავლების სამ სახეს:

- დასწრებული, როდესაც სწავლების პროცესი მიმდინარეობს პროფესორისა და სტუდენტების საკონტაქტო საათების ფარგლებში, ხოლო სასწავლო მასალის გადაცემა ხორციელდება ელექტრონული კურსის საშუალებით.
- ჰიბრიდული (დასწრებული/დისტანციური), სწავლების ძირითადი ნაწილი მიმდინარეობს დისტანციურად, ხოლო მცირე ნაწილი ხორციელდება საკონტაქტო საათების ფარგლებში.
- მთლიანად დისტანციური სწავლება გულისხმობს სასწავლო პროცესის წარმართვას ლექტორის ფიზიკური თანდასწრების გარეშე. სასწავლო კურსი თავიდან ბოლომდე დისტანციურად ელექტრონული ფორმატით მიმდინარობს.

საბაკალავრო ნაშრომი ბაკალავრიატის საფეხურის დამამთავრებელი ეტაპია და მისი მიზანია სპეციალობაში მიღებული თეორიული და პრაქტიკული ცოდნის სისტემატიზაცია და კონკრეტული სამეცნიერო, ტექნიკური, ეკონომიკური თუ პროფესიული ამოცანების დასაბუთებული გადაწყვეტა. ნაშრომმა უნდა გამოავლინოს დასმულ საკითხებთან დაკავშირებული კვლევის მეთოდებისა და ექსპერიმენტების დაუფლების დონე და მომავალი პროფესიული საქმიანობის პირობებში სტუდენტის მზადყოფნა დამოუკიდებელი მუშაობისთვის. კონსულტაცია - საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელთან სტუდენტის მიერ გამოყენებული საკონტაქტო დრო, როდესაც სტუდენტი იღებს ინფორმაციას შესასრულებელი ნაშრომის ფარგლებში გეგმის შედგენის, ემპირიული მასალის მოძიების, დამუშავების, ნაშრომის შინაარსობრივი ნაწილის დასკვნების გამოტანის, ნაშრომის ტექნიკური გაფორმების, მისი საპრეზენტაციოდ მომზადების საკითხებში.

პროფესიული პრაქტიკა არის სასწავლო პროცესის მნიშვნელოვანი ნაწილი და წარმოადგენს სტუდენტის დაგეგმილ და მიზანმიმართულ საქმიანობას, აკადემიურ გარემოში მიღებული თეორიული ცოდნის განმტკიცებასა და პრაქტიკული უნარების შეძენას. პრაქტიკის მიზანს წარმოადგენს სტუდენტების შეიარაღება პრაქტიკული უნარებით და მათი მომზადება მომავალი დამოუკიდებელი პროფესიული საქმიანობისთვის. პრაქტიკის განხორციელებაში ჩართულია სამი მხარე: უნივერსიტეტი, სტუდენტი და პოტენციური დამსაქმებელი/მიმღები ორგანიზაცია/პრაქტიკის ობიექტი, ამდენად იგი სამივე მხარისათვის მნიშვნელოვანია: აკადემიური განათლებისა და თეორიის დაკავშირება რეალურ სამყაროსთან; სამუშაო გარემოში ჩართვა, საქმიანი ურთიერთობების ჩამოყალიბება; სასწავლო პროცესში განვითარებული კომპეტენციების პრაქტიკაში გავარჯიშება; ახალი კომპეტენციების გამომუშავება; საგანმანათლებლო პროგრამების განახლება სწარაფცვალებადი ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად; კურსდამთავრებულთა დასაქმების ამაღლება; მოტივირებულ ახალგაზრდებთან ურთიერთობა; უკეთ მომზადებული პროფესიონალის აღზრდის ხელშეწყობა; საგანმანათლებლო პროგრამების სრულყოფაში მონაწილეობა ბაზრის მოთხოვნების გათვალისინებით.

შეფასების სისტემა

სწავლის შედეგებისა და კომპეტენციების შეფასების სისტემა ეყრდნობა კანონმდებლობით აღიარებულ სისტემას და შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებულ შეფასებისა და კრედიტის მინიჭების სტანდარტებს.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა ითვალისწინებს:
ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:
ა.ა) (A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა;
ა.ბ) (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
ა.გ) (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
ა.ე) (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:
ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
ბ.ბ) (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტში, FX-ის მიღების შემთხვევაში სტუდენტს დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს იმავე სემესტრში, დასკვნითი გამოცდის შედეგის გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში.

სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა.
დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის საბოლოო შეფასებაში.
დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა.

დასკვნით გამოცდაზე დაშვების წინაპირობაა შუალედური შეფასებებით კომპეტენციის ზღვარის დაძლევა (შუალედური შეფასების 30 % - არანაკლებ 21 ქულა). დასკვნით გამოცდაზე კომპეტენციის ზღვარი შეადგენს 30%-ს - არანაკლებ 9 ქულას.

კრედიტის მინიჭების წინაპირობაა 100-დან არანაკლებ 51 ქულის დაგროვება და შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის მინიმალური კომპეტენციის ზღვარის გადალახვა.

შეფასების კომპონენტები

სტუდენტის ცოდნის შეფასებისას გამოიყენება გამჭვირვალე კრიტერიუმები, რაც უზრუნველყოფს სტუდენტის ინფორმირებულობას მიღწეული შედეგების, ნაკლოვანებებისა და გაუმჯობესების გზების შესახებ. სასწავლო უნივერსიტეტში არსებული შეფასების კრიტერიუმები და კომპონენტები შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ნორმებს და ის მრავალკომპონენტიანია.

შეფასების კომპონენტების გადანაწილება
მაქსიმალური 100 ქულის გადანაწილება და თითოეული კომპონენტის ხვედრითი წილი შემდეგნაირია:

შუალედური შეფასება - 70 ქულა

მათ შორის:

აქტივობა - 52 ქულა,
შუალედური გამოცდა -18 ქულა
დასკვნითი გამოცდა - 30 ქულა

სტუდენტის აქტივობაში იგულისხმება სემესტრის განმავლობაში სტუდენტის მიერ შესრულებული ყველა აქტივობა და მონაწილეობა, რაც კონკრეტული საგნის სილაბუსით არის განსაზღვრული (სამუშაო ჯგუფში მუშაობა, პრაქტიკულ თუ ლაბორატორიულ მეცადინეობაზე აქტიურობა, პრეზენტაციების შესრულება, დისკუსიებში მონაწილეობა, საშინაო დავალებებისა და პრაქტიკული სავარჯიშოების შესრულება, ესსეს წერა და სხვ. აქტივობები).

ცალკეული კომპონენტის შეფასების ინდივიდუალური კრიტერიუმები საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე გაწერილია სასწავლო კურსების სილაბუსებში. შეფასების თითოეულ ფორმასა და კომპონენტს შეფასების საერთო მოცულობაში (100 ქულა) გააჩნია შემდეგი ხვედრითი წილი: შუალედური შეფასება - 70 % და დასკვნითი შეფასება - 30%. შეფასების თითოეულ ფორმას გააჩნია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი, რომლის გადალახვა აუცილებელია აღნიშნულ შეფასებაში დადებითი შედეგის დაფიქსირებისთვის. შუალედური შეფასებისა და დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი შეადგენს 30-30%-ს. შეფასების თითოეული ფორმა მოიცავს შეფასების კომპონენტს/კომპონენტებს, რომელიც მოიცავს შეფასების მეთოდს/მეთოდებს, ხოლო შეფასების მეთოდი/მეთოდები იზომება შეფასების კრიტერიუმებით. შეფასების კრიტერიუმები საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე გაწერილია სასწავლო კურსების სილაბუსებში.

სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა

ჟურნალისტიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებული უფლებამოსილია, კანონმდებლობით დადგენილი წესით, სწავლა განაგრძოს საქართველოს ან სხვა ქვეყნების უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ნებისმიერი მიმართულების სამაგისტრო პროგრამაზე, თუ ამ პროგრამაზე მიღების წინაპირობა არ არის შეზღუდული სხვა სპეციალობის ბაკალავრის აკადემიური ხარისხით.

პროგრამის დასაქმების სფერო

ჟურნალისტიკის საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულებს შეეძლებათ პრაქტიკული საქმიანობის გაგრძელება მასობრივი ინფორმაციის ბეჭდურ (გაზეთი, ჟურნალი), სამაუწყებლო (რადიო, ტელევიზია) საშუალებებში, ინტერნეტ-მედიაში, საინფორმაციო სააგენტოებში, სახელმწიფო თუ ბიზნესორგანიზაციების საზოგადოებასთან ურთიერთობისა და პრესსამსახურში, არასამთავრობო სექტორში, აგრეთვე, ნებისმიერ პოზიციაზე, სადაც ბაკალავრის აკადემიური ხარისხი მოეთხოვება.

პროგრამის პარტნიორები

პარტნიორი ეკონომიკური აგენტები

- შპს ევრონიუს ჰოლდინგი;
- შპს იბერია - TV;
- შპს კვირის პალიტრა;
- შპს საგამომცემლო სახლი ქართული ელიტა;
- შპს საინფორმაციო სააგენტო MmG;
- შპს საქართველოს საპატრიარქოს ტელევიზია ერთსულოვნება
- შპს სტუდია მაესტრო;
- შპს ტელეიმედი;.
- შპს ემ ჯი აი სტუდია;

საერთაშორისო პარტნიორები

- ტურიბას უნივერსიტეტი (ლატვია)
- რისებას უნივერსიტეტი (ლატვია)
- ბრაგანცას პოლიტექნიკური ინსტიტუტი (პორტუგალია)
- გდანსკის უნივერსიტეტი (პოლონეთი)

პროგრამის ინტერნაციონალიზაცია

ჟურნალისტიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ორიენტაცია დარგის საერთაშორისო კონტექსტთან შესაბამისობაზე და პროგრამის კურსდამთავრებულთა საზღვარგარეთ დასაქმების/სწავლის გაგრძელებისთვის მნიშვნელოვანი უნარებით აღჭურვაზე გამოიხატება შემდეგით:

<u>უცხო ენაზე პროფესიული კომუნიკაციის კომპეტენციის განვითარება</u>

პროგრამის ფარგლებში სავალდებულოდ გათვალისწინებულია სტუდენტის არჩევით დასავლურ ენაზე საკომუნიკაციო უნარების განვითარება, არანაკლებ დამოუკიდებელი პროფესიული კომუნიკაციის (B2+) დონეზე.

არჩევით სასწავლო კურსების ნაწილში გათვალისწინებულია ინგლისურენოვანი სავალდებულო ან დამხმარე ლიტერატურა, სასწავლო კურსის დონისა და სწავლების სემესტრის შესაბამისად.

არჩევითი სტატუსით პროგრამაში გათვალისწინებულია ინგლისურენოვანი სასწავლო კურსები.

<u>პროგრამის ფარგლებში სტუდენტთა აკადემიური მობილობის ხელშეწყობა</u>

პროგრამის III და IV სასწავლო წლის სტუდენტებისთვის უზრუნველყოფილია პარტნიორ უნივერსიტეტში სწავლის შესაძლებლობა, დამატებითი გადასახადის გარეშე, აქედან სემესტრში უმაღლესი აკადემიური მოსწრების მქონე სტუდენტებს - უნივერსიტეტის სრული დაფინანსებით.

საერთაშორისო გაცვლითი პროგრამები

გაცვლითი პროგრამა რისებას უნივერსიტეტის (ლატვია) მასკომუნიკაციის მიმართულებაზე;

გაცვლითი პროგრამა ბრაგანცას პოლიტექნიკური უნივერსიტეტის (პორტუგალია) მედიასა და კომუნიკაციების სკოლაში;

გაცვლითი პროგრამა გდანსკის უნივერსიტეტის (პოლონეთი) სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე;

გაცვლითი პროგრამა ტურიბას უნივერსიტეტის (ლატვია) კომუნიკაციების სკოლაში.

პროგრამის რესურსები

მატერიალური რესურსი

ჟურნალისტიკის საბაკალავრო პროგრამა ხორციელდება თანამედროვე ინფრასტრუქტურით აღჭურვილ კამპუსში, უზრუნველყოფილია საბიბლიოთეკო, მატერიალური და ტექნიკური რესურსით, რომელიც რაოდენობრივად და ხარისხობრივად უზრუნველყოფს პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას. ყველა აუდიტორია აღჭურვილია სასწავლო პროცესის განხორციელებისათვის აუცილებელი თანამედროვე ინფრასტრუქტურით.

უნივერსიტეტში ფუნქციონირებს სწავლის შედეგების მიღწევისათვის საჭირო თანამედროვე ინფრასტრუქტურით აღჭურვილი მედია ლაბორატორია, სადაც სტუდენტებს ეძლევათ პრაქტიკული უნარების შეძენისა და დახვეწის შესაძლებლობა. მედია ლაბორატორიაში არსებული აპარატურით ხორციელდება პრაქტიკული კომპონენტის სწავლება, რაც მოიცავს ფოტო და ვიდეოგადაღებებს, მონტაჟს, ტელესიუჟეტების შექმნას და ა.შ.

სტუდენტები ინფორმირებულები არიან არსებული რესურსების გამოყენების შესაძლებლობის და მოხმარების წესების შესახებ.

ბიბლიოთეკაში განთავსებულია ჟურნალისტიკის საბაკალავრო პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსებით განსაზღვრული ყველა სავალდებულო ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა (მათ შორის ელექტრონულ მატარებლებზე არსებული), რომელიც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს ხელშეკრულება ა(ა)იპ საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციასთან საერთაშორისო ელექტრონული საბიბლიოთეკო ბაზების მომსახურებაზე. სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია უახლესი სამეცნიერო პერიოდული გამოცემები, საერთაშორისო ელექტრონული საბიბლიოთეკო ბაზები, რომლებიც საშუალებას აძლევს მათ გაეცნონ შესაბამისი მიმართულების/დარგის უახლეს სამეცნიერო მონაცემებს პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად.

პრაქტიკული რესურსი

პროგრამით გათვალისწინებულია სავალდებულო კომპონენტი სასწავლო პრაქტიკა. უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები პრაქტიკის ობიექტებთან. პრაქტიკა არის სასწავლო პროცესის მნიშვნელოვანი ნაწილი და წარმოადგენს სტუდენტის დაგეგმილ და მიზანმიმართულ საქმიანობას, აკადემიურ გარემოში მიღებული თეორიული ცოდნის განმტკიცებასა და პრაქტიკული უნარების შეძენას. პრაქტიკის მიზანს წარმოადგენს სტუდენტების შეიარაღება პრაქტიკული უნარებით და მათი მომზადება მომავალი დამოუკიდებელი პროფესიული საქმიანობისთვის.

პროფესიული პრაქტიკის განხორციელების უზრუნველყოფის მიზნით უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები/მემორანდუმები შემდეგ ორგანიზაციებთან:

- შპს ევრონიუს ჰოლდინგი;
- შპს ემ ჯი აი სტუდია;
- შპს იბერია - TV;
- შპს კვირის პალიტრა;
- შპს საგამომცემლო სახლი ქართული ელიტა;
- შპს საინფორმაციო სააგენტო MmG;
- შპს საქართველოს საპატრიარქოს ტელევიზია ერთსულოვნება
- შპს სტუდია მაესტრო;
- შპს ტელეიმედი.

პროგრამის სასწავლო გეგმა

	სასწავლო კურსის დასახელება	ECTS	სულ საათები	დაშვების წინაპირობა	სტუდენტის სასწავლო დატვირთვა						კრედიტების სემესტრული განაწილება							
					ლექცია	სამუშაო ჯგუფში მუშაობა ან პრაქტიკული ან laბორატორიული	შუალედური გამოცდა	დასკვნითი გამოცდა	სულ საკონტაქტო	დამოუკიდებელი მუსაობა	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII
ძირითადი სწავლების სფეროს სასწავლო კურსები																		
N	სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსები	116	შესაბამის სემესტრში ასათვისებელი სავალდებულო კრედიტების რაოდენობა								I	II	III	IV	V	VI	VII	VIII
											18	18	18	18	14	12	12	6
	ჟურნალისტიკის საფუძვლები	6	150	არ აქვს	15	30	1	2	48	102	6							
	ქართული ენა ჟურნალისტებისთვის	6	150	არ აქვს	15	30	2	3	50	100	6							
	ქართული ჟურნალისტიკის ისტორია	6	150	არ აქვს	15	30	1	2	48	102	6							
	ახალი ამბების ჟურნალისტიკა	6	150	ჟურნალისტიკის საფუძვლები; ქართული ენა ურნალისტებისათვის	15	30	1	2	48	102		6						
	მედიის აქტუალური თემები	6	150	ჟურნალისტიკის საფუძვლები	15	30	2	3	50	100		6						

	ფოტოჟურნალისტიკა	**6**	**150**	არ აქვს	15	30	2	3	50	100		**6**						
	ბეჭდური მედია I -გაზეთი (პრაქტიკული კურსი)	**6**	**150**	მულტიმედია ტექნოლოგიები, მათი გამოყენება	15	30	2	3	50	100			**6**					
	მულტიმედია ტექნოლოგიები და მათი გამოყენება	**6**	**150**	თანამედროვე საოფისე პროგრამები	15	30	2	3	50	100			**6**					
	მედია სამართალი და თვითრეგულირება	**6**	**150**	არ აქვს	15	30	1	2	48	102			**6**					
	ანალიტიკური ჟურნალისტიკა	**6**	**150**	ახალი ამბების ჟურნალისტიკა	15	30	1	2	48	102				**6**				
	ბეჭდური მედია II -ჟურნალი (პრაქტიკული კურსი)	**6**	**150**	ბეჭდური მედია I -გაზეთი (პრაქტიკული კურსი)	15	30	2	3	50	100				**6**				
	სამაუწყებლო მედია I - რადიო	**6**	**150**	ახალი ამბების ჟურნალისტიკა	15	30	2	3	50	100				**6**				
	სამაუწყებლო მედია II - ტელევიზია	**4**	**100**	სამაუწყებლო მედია I - რადიო	15	15	1	2	33	67					**4**			
	ვერბალური კომუნიკაციები	**5**	**125**	არ აქვს	15	30	1	2	48	77					**5**			
	საზოგადოებასთან ურთიერთობის საფუძვლები	**5**	**125**	არ აქვს	15	30	1	2	48	77					**5**			
	ვიზუალური თხრობა-ტელეჟურნალისტიკის პრაქტიკული კურსი	**6**	**150**	სამაუწყებლო მედია II - ტელევიზია (თეორია)	15	30	2	3	50	100						**6**		
	ახალი მედია	**6**	**150**	მულტიმედია ტექნოლოგიები, მათი გამოყენება	15	30	1	2	48	102						**6**		
	მედიის კვლევის მეთოდები	**6**	**150**	არ აქვს	15	30	2	3	50	100							**6**	
	პრაქტიკა ჟურნალისტიკაში	**6**	**150**	ვიზუალური თხრობა-ტელეჟურნალისტ	**სტუდენტი პრაქტიკულ კომპონენტს ასრულებს პრაქტიკის ინსტრუქციისა და პრაქტიკის დღიურის შესაბამისად**												**6**	

	(ახალი ამბების სააგენტო; ბეჭდური; სამაუწყებლო)			იკის პრაქტიკული კურსი															
	საბაკალავრო ნაშრომი ჟურნალისტიკაში	6	150	მედიის კვლევის მეთოდები	სტუდენტი საბაკალავრო ნაშრომს ასრულებს საბაკალავრო ნაშრომის ინსტრუქციის შესაბამისად														6
	სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსები	**40**	**შესაბამის სემესტრში ასათვისებელი არჩევითი კრედიტების რაოდენობა**								I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	
													6		10	10	8	6	
	სამეტყველო ოსტატობა	6	150	ქართული ენა ჟურნალისტების თვის	15	30	2	3	50	100									
	მასკომუნიკაციის საფუძვლები	5	125	არ აქვს	15	30	1	2	48	77									
	ბეჭდური მედიის ენა და სტილი	6	150	ქართული ენა ჟურნალისტების თვის	15	30	1	2	48	102									
	მსოფლიო მედია და მედიათეორიები	5	125	არ აქვს	15	30	1	2	48	77									
	კონფლიქტების და კრიზისული სიტუაციების გაშუქება	4	100	არ აქვს	15	15	2	3	35	65									
	კულტურის საკითხების გაშუქება	5	125	არ აქვს	15	30	1	2	48	77									
	ეკოლოგიის საკითხები და ბუნებრივი კატასტროფების გაშუქება	5	125	არ აქვს	15	30	2	3	50	75									
	რეკლამა მედიაში	5	125	არ აქვს	15	30	1	2	48	77									
	საგამომძიებო ჟურნალისტიკა	6	150	ანალიტიკური ჟურნალისტიკა	15	30	1	2	48	102									
	მედია და პოლიტიკა	5	125	არ აქვს	15	30	2	3	50	75									

	სატელევიზიო კინოდოკუმენტალისტიკა	**4**	**100**	სამაუწყებლო მედია II - ტელევიზია (თეორია)	15	15	1	2	33	67								
	ბავშვთა საკითხების გაშუქება	**5**	**125**	არ აქვს	15	30	1	2	48	77								
	აგროჟურნალისტიკა	**5**	**125**	არ აქვს	15	30	2	3	50	75								
	მედია მენეჯმენტი	**5**	**125**	არ აქვს	15	30	2	3	50	75								
	მედიატექსტის კომპოზიცია	**5**	**125**	ქართული ენა ჟურნალისტების თვის	15	30	1	2	48	77								
	ტელეოპერატორის ხელოვნება	**6**	**150**	ფოტოჟურნალის ტიკა; სამაუწყებლო მედია II - ტელევიზია (თეორია)	4	52	2	3	61	89								
	საარჩევნო პროცესი და მედია	**4**	**100**	არ აქვს	15	15	1	2	33	67								
	რელიგიური თემატიკა მედიაში	**4**	**100**	არ აქვს	15	15	2	3	35	65								
	სენსიტიური საკითხების გაშუქება	**4**	**100**	არ აქვს	15	15	2	3	35	65								
	მონაცემთა ჟურნალისტიკა	**4**	**100**	ახალი ამბების ჟურნალისტიკა	15	15	2	3	35	65								
	სამაუწყებლო ბადე – სატელევიზიო პროექტი	**5**	**125**	სამაუწყებლო მედია II - ტელევიზია	15	30	2	3	50	75								
	მედიის სოციოლოგია	**5**	**125**	ჟურნალისტიკის საფუძვლები	15	30	2	3	50	75								
	სპორტის ჟურნალისტიკა	**4**	**100**	არ აქვს	15	15	2	3	35	65								

	ეკონომიკისა და ფინანსური საკითხების გაშუქება მედიაში	5	125	არ აქვს	15	30	2	3	50	75									
	Writing for Mass Media	6	150	დარგობრივი ინგლისური ენა ჟურნალისტების თვის 1	30	30	2	3	65	85									
	რადიო პროდუქციის წარმოება	5	125	სამაუწყებლო მედ.1 - რადიო	15	30	2	3	50	75									
	მედიაკომუნიკაცია საჯარო სამსახურში	5	125	არ აქვს	15	30	2	3	50	75									
	შრომის უსაფრთხოება	2	50	არ აქვს	15	15	2	3	35	15									
თავისუფალი კომპონენტები																			
	საუნივერსიტეტო სავალდებულო სასწავლო კურსები	12	**შესაბამის სემესტრში ასათვისებელი სავალდებულო კრედიტების რაოდენობა**							I	II	III	IV	V	VI	VII	VIII		
										12	12	6	6	6					
	აკადემიური წერა	6	150	არ აქვს	15	30	2	3	50	100	6								
	თანამედროვე საოფისე პროგრამები	6	150	არ აქვს	15	30	2	3	50	100		6							
	სავალდებულო/არჩევითი სასწავლო კურსები	30	**სტუდენტის არჩეულ უცხო ენაში სემესტრში ასათვისებელი სავალდებულო კრედიტები**							6	6	6	6	6					
	უცხო ენა B1/1	6	150	არ აქვს	-	45	2	3	50	100	6								
	უცხო ენა B1/2	6	150	უცხო ენა B1/1	-	45	2	3	50	100		6							
	უცხო ენა B2/1	6	150	უცხო ენა B1/2	-	45	2	3	50	100			6						

	უცხო ენა B2/2	6	150	უცხო ენა B2/1	-	45	2	3	50	100				6				
	დარგობრივი უცხო ენა ჟურნალისტებისათვის	6	150	უცხო ენა B2/2	-	45	2	3	50	100					6			
	საუნივერიტეტო არჩევითი სასწავლო კურსები	შესაბამის სემესტრში ასათვისებელი თავისუფალი კრედიტების რაოდენობა									I	II	III	IV	V	VI	VII	VIII
	თავისუფალი სასწავლო კურსები	42												6		8	10	18
	სულ	240									30	30	30	30	30	30	30	30

პროგამის აკადემიური კორპუსი

ჟურნალისტიკის საბაკალავრო პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე აკადემიური და მოწვეული პერსონალი, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი პედაგოგიური და პრაქტიკული გამოცდილება, რაც დასტურდება მათი პირადი საქმეებით.

პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალი

სასწავლო კურსის დასახელება	სასწავლო კურსის განმახორციელებელი	სტატუსი
ჟურნალისტიკის საფუძვლები	თინათინ ზაქარაშვილი	პროფესორი
ქართული ენა ჟურნალისტებისთვის	ქეთევან ნიჟარაძე	ასოცირებული პროფესორი
ქართული ჟურნალისტიკის ისტორია	დოლიძე მაკა	ასოცირებული პროფესორი
ახალი ამბების ჟურნალისტიკა	თინათინ ზაქარაშვილი	პროფესორი
მედიის აქტუალური თემები	თემურ ჯაგოდნიშვილი	მოწვეული ლექტორი
ფოტოჟურნალისტიკა	ზვიად მიქელაძე	მოწვეული ლექტორი
ბეჭდური მედია I -გაზეთი (პრაქტიკული კურსი)	ციცინო ბუკია	მოწვეული პედაგოგი
მულტიმედია ტექნოლოგიები და მათი გამოყენება	მარიამ ძაგოევი	მოწვეული ლექტორი
მედია სამართალი და თვითრეგულირება	თამარ ალფაიძე	პროფესორი
ანალიტიკური ჟურნალისტიკა	დოლიძე მაკა	ასოცირებული პროფესორი
ბეჭდური მედია II -ჟურნალი (პრაქტიკული კურსი)	ციცინო ბუკია	მოწვეული პროფესორი
სამაუწყებლო მედია I - რადიო	ია მახარაძე	ასოცირებული პროფესორი
სამაუწყებლო მედია II - ტელევიზია	ნარგიზა კანკია	ასოცირებული პროფესორი

ვერბალური კომუნიკაციები	თემურ ჯაგოდნიშვილი	მოწვეული ლექტორი
საზოგადოებასთან ურთიერთობის საფუძვლები	მარიკა გორდელაძე	ასისტენტ-პროფესორი
ვიზუალური თხრობა- ტელეჟურნალისტიკის პრაქტიკული კურსი	თინათინი მაჭარაშვილი	ასისტენტ-პროფესორი
ახალი მედია	ია მახარაძე	ასოცირებული პროფესორი
მედიის კვლევის მეთოდები	დალი ოსეფაშვილი	მოწვეული პროფესორი
პრაქტიკა ჟურნალისტიკაში (ახალი ამბების სააგენტო; ბეჭდური; სამაუწყებლო)	მარინე გერმანიშვილი	ასოცირებული პროფესორი
სამეტყველო ოსტატობა	ქეთევან ნიჟარაძე	ასოცირებული პროფესორი
მასკომუნიკაციის საფუძვლები	თინათინ ზაქარაშვილი	პროფესორი
ბეჭდური მედიის ენა და სტილი	თემურ ჯაგოდნიშვილი	მოწვეული ლექტორი
მსოფლიო მედია და მედიათეორიები		
კონფლიქტების და კრიზისული სიტუაციების გაშუქება	მარიამ ადამაშვილი	ასისტენტ–პროფესორი
კულტურის საკითხების გაშუქება	ნინო ჩერქეზიშვილი	ასისტენტ-პროფესორი
ეკოლოგიის საკითხები და ბუნებრივი კატასტროფების გაშუქება	თამარ ნარინდოშვილი	მოწვეული ლექტორი
რეკლამა მედიაში	მარინა გორდელაძე	ასისტენტ-პროფესორი
საგამოძიებო ჟურნალისტიკა	ია მახარაძე	ასოცირებული პროფესორი
მედია და პოლიტიკა	რუსუდან მაჩაიძე	ასისტენტ-პროფესორი
სატელევიზიო კინოდოკუმენტალისტიკა	ნარგიზა კანკია	ასოცირებული პროფესორი
ბავშვთა საკითხების გაშუქება	ნინო ჩერქეზიშვილი	ასისტენტ-პროფესორი
აგროჟურნალისტიკა	თინათინ ზაქარაშვილი	პროფესორი
მედია მენეჯმენტი	გიორგი აფციაური	მოწვეული ლექტორი
მედიატექსტის კომპოზიცია	რუსუდან ლორთქიფანიძე	ასოცირებული პროფესორი
ტელეოპერატორის ხელოვნება	ზვიად მიქელაძე	მოწვეული ლექტორი
საარჩევნო პროცესი და მედია	ნათია სვანიძე	მოწვეული ლექტორი
რელიგიური თემატიკა მედიაში	მარიამ ადამაშვილი	ასისტენტ–პროფესორი
სენსიტიური საკითხების გაშუქება	გიორგი დონაძე	მოწვეული ლექტორი
მონაცემთა ჟურნალისტიკა	რუსუდან მაჩაიძე	ასისტენტ-პროფესორი

სამაუწყებლო ბადე –სატელევიზიო პროექტი	მარინე გერმანიშვილი	ასოცირებული პროფესორი
მედიის სოციოლოგია	ნინო შოშიტაშვილი	მოწვეული ლექტორი
სპორტის ჟურნალისტიკა	ვაჟა დანელია	მოწვეული ლექტორი
ეკონომიკისა და ფინანსური საკითხების გაშუქება მედიაში	თენგიზ შერგელაშვილი	მოწვეული ლექტორი
Writing for Mass Media	ნათია სვანიძე	მოწვეული ლექტორი